საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 280

18 04 2019 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2019 წლის 15 აპრილის №434636 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2019 წლის 19 აპრილიდან 2019 წლის 25 აპრილის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის შერჩევის მიზნით.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.
3. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
4. გამოსაცდელი ვადა - 3 (სამი) თვე.
5. ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განისაზღვროს:

ა) მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების, სამართლის ან/და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) ინგლისური ენის კარგად ცოდნა;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";

- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება;
- რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლები;
- „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 6 მარტის №170-ე ბრძანება;
- ბოლონიის პროცესის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG - 2015).

დ) კომპიუტერული პროგრამების (Ms.Word, Ms. Excel, Ms.Power Point, Outlook) ცოდნა;

ე) მუშაობის გამოცდილება შესაბამისი მიმართულებით ჩაითვლება უპირატესობად.

6. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;

ბ) დატვირთული რეჟიმით მუშაობის უნარი;

გ) წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი;

დ) დეტალებზე კონცენტრირების უნარი;

ე) ორგანიზებულობა;

ვ) კომუნიკაბელურობა;

ზ) გუნდური მუშაობის უნარი;

თ) დროის მართვისა და განაწილების უნარი.

7. ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის ფუნქციებად განისაზღვროს:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესების კოორდინირება და განხორციელება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის მექანიზმების კოორდინირება და განხორციელება;

გ) ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსის ფორმირებისა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

დ) საერთაშორისო ექსპერტთა მონაწილეობით საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ვიზიტების ორგანიზება და დაგეგმვა;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების სხდომების ჩატარების მიზნით ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება;

ვ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებებისა

და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ტრენინგების, სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ზ) საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ცენტრში ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული კორესპონდენციის შესწავლა, განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფა;

თ) დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება;

ი) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;

კ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

8. ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა ცენტრის ელექტრონულ ფოსტაზე - jobs@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;

ბ) სამოტივაციო წერილი;

გ) ავტობიოგრაფია (CV) ორი რეკომენდატორის, მათი თანამდებობისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;

დ) აუცილებელია კანდიდატმა სათაურის ველში (Subject) მიუთითოს ვაკანსიის დასახელება - სპეციალისტი.

9. ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის შესარჩევი კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:

ა) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

10. თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განაცხადების წარმოდგენის ვადის დასრულებიდან 3 თვის ვადაში.

11. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.jobs.ge მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

12. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

13. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე